სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09813010783217

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170391437

რეგისტრაციის თარიღი

13.04.2017 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცამეტ აპრილს, მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №10, მომმართა **მოქ. ნანა კობერიძემ.** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა **ალექსანდრე ხუციშვილის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება.
მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **მოქ. ნანა კობერიძემ** (დაბადებული 14.07.1952წ პირადი №01020004124, მის. ქ. თბილისი, მანჯგალაძის II შეს. №3ა) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცამეტ აპრილს მოქ. ნანა კობერიძემ, რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც «მიმნდობი», **მოქ. ალექსანდრე ხუციშვილს** (დაბ. 28.11.1977წ. პ/№01020005017, მის. ქ. თბილისი, მანჯგალაძის II შეს. №9), რომელიც შემდეგში მოხსენებულია, როგორც «მინდობილი პირი», მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :

მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით მართოს გასხვისების უფლების გარეშე მიმნდობის კუთვნილი უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს მისამართზე : **ქ. თბილისი, სოფელი შინდისი** (ს/კ 81.02.11.721), ამის შესაბამისად იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაცია დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, იუსტიციის სახლში, ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა/დოკუმენტი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **10-00** ლარი + რეგისტრაციის საფასური **2.00** ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია **13.80 ლარი**

მიმნდობი : ნანა კობერიძე

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04634780004317

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170218200

რეგისტრაციის თარიღი

04.03.2017 წ

ნოტარიუსი: დავით ბედიანაშვილი
მისამართი: ქ.გარდაბანი დავით აღმაშენებლის ქ.1-47
ტელეფონი: 577404673

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოთხ მარტს მე, ნოტარიუსს დავით ბედიანაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. გარდაბანი აღმაშენებლის **#1-47,** მომმართა **იზოლდა ტოტოღაშვილმა,** შემდგომში – „საკუთრების მიმნდობი". მან მოითხოვა მინდობილობის გარიგების შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი რომ მე, ნამდვილად **იზოლდა ტოტოღაშვილმა** (დაბ. 07.04.1956წ. გარდაბანი, მცხ. **თბილისი ს. შინდისი ნ. ბარათაშვილის I შეს. N10,** პირადი **№12001063728)** მომმართა. მე, დავადგინე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, დავადგინე გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე, გარიგების ტექსტი წავუკითხე და განვუმარტე „საკუთრების მიმნდობს". მან განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **იზოლდა ტოტოღაშვილმა** ამ მინდობილობით **ვაჟა ტოტოღაშვილს** (დაბ. 18.08.1949წ. გარდაბანი, მისამართი; **თბილისი ს. შინდისი თბილისი კოჯრის გზატკეცილის ქ. N14**, პირადი **№12003000494**), შემდგომში – „მინდობილი მესაკუთრე", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. "მინდობილი მესაკუთრე„ უფლებამოსილია მართოს და განკარგოს თავის შეხედულებისამებრ ჩემი კუთვნილი უძრავი ქონება **1201,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი სოფელი შინდისი (საკ. კოდი #81.02.11.698),** გაყიდოს, გაცვალოს, გაიფორმოს თავის თავზე, მიიღოს კუთვნილი თანხა, გააჩუქოს, იჩუქოს, დატვირთოს იპოთეკით, მოხსნას იპოთეკა და დადოს ნებისმიერი სამოქალაქო გარიგება; ასევე შეუცვალოს დანიშნულება, გამიჯნოს/გაყოს, შეიტანოს ცვლილება რეგისტრირებულ მონაცემებში და აწარმოოს ჩემი სახელით ნებისმიერი საქმიანობა შემოსავლების სამსახურში (საგადასახადო ინსპექცია), ნებისმიერი მუნიციპალიტეტის სამსახურებში, საჯარო რეესტრის სამსახურში (გააუქმოს რეგისტრაცია), სსგს სრ სამსახურში, არქივში, სანოტარო ბიუროში, ხელი მოაწეროს ყველა საბუთს ჩემს მაგივრად; მიიღოს აგრობარათი, ვაუჩერი.

2. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად „მინდობილი მესაკუთრე" უფლებამოსილია აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად „მინდობილი მესაკუთრე" უფლებამოსილია „საკუთრების მიმნდობი" წარმოადგინოს კომპეტენტურ ორგანოებთან და პირებთან, დადოს მათთან შეთანხმებები, ხელი მოაწეროს დოკუმენტებსა და სხვა წერილობით აქტებს, შეასრულოს ყველა სხვა საჭირო მოქმედება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

3. „მინდობილი მესაკუთრე" ვალდებულია:

ა) მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით.

ბ) მომაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარების შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩამაბაროს ანგარიში.

4. „მინდობილი მესაკუთრე„ ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად. იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.

5. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, გადანდობის უფლებით.

6. მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. საკუთრების მიმნდობის, ან „მინდობილი მესაკუთრის" გარდაცვალება, აგრეთვე „მინდობილი მესაკუთრის" ქმედუუნარობა წყვეტს მინდობილობას.

7. წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა დავით ბედიანაშვილმა, რომელმაც წამიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

8. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით ბედიანაშვილთან, ხოლო ორი გადაეცა "საკუთრების მიმნდობს".

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური ათი **(10.00)** ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ " საქართველოს მთავრობის დადგენილების **(№507, 29** დეკემბერი **2011**წ.) **31.7**-ე მუხლისა. 34-ე მუხლის თანახმად ხარჯი ათი (10.00) ლარი, ასევე **39**-ე მუხლის თანახმად. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **2.00** (ორი) ლარი.

სანოტარო მოქმედება შესრულდა მისამართზე: თბილისი, შინდისი.

ტოტოღაშვილი იზოლდა